



გისოსებს მიღმა

ლევან ბუთხუზი

პატარა გორილა მშვიდად ჩამოხტა დედის კისრიდან და იქვე გოლიათივით წამოწოლილ მამას გავაზე შეაცოცდა. მამამ ყურთან მოულიტინა და ძილი განაგრძო. მე და ჩემი მეგობრები სულგანაბული ვუცქერთ ამ სანახაობას. ამბავი უგანდაში, ერთ-ერთი ეროვნული პარკის ჯუნგლებში ხდება. სულ რამდენიმე მეტრში ვდგავართ გორილების საკმაოდ მოზრდილი ოჯახისგან და თვალებს არ ვუჯერებთ.

სანამ ჩავიდოდით, სამედიცინო ცნობები ვაგროვეთ. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია უნდა დარწმუნებულიყო, რომ არც გრიპი გვექონდა, არც ტუბერკულოზი და არც სხვა დაავადება, რომელიც ჰაერ-წვეთოვანი გზით გადადის. ხუმრობა საქმე ხომ არაა, სულ თითზე ჩამოსათვლელი გორილა დარჩა ბუნებას და ისლა აკლდათ, რომ ჩვენნაირ მომხდურებს რამე ვირუსი ან ბაქტერია მიეტანათ. ის კი არა, გორილების ამ პოპულაციას, არც მეტი, არც ნაკლები, „კალაშნიკოვებით“ შეიარაღებული რეინჯერები იცავენ. მარტო ბაქტერია არაა მათი მტერი – ჯუნგლების გაკაფვა და ბრაკონიერები დამატებით საფრთხეს ქმნიან და მათ სრული გაქრობით ემუქრებიან.

განცდა მართლაც დაუვინყარი იყო. ეს სრულიად გასაოცარი ცხოველები ჩვენ თვალწინ, რამდენიმე მეტრში იყვნენ და არც კი გვაქცევდნენ ყურადღებას. მკვლევრის სამოთხე! – გავიფიქრე და იქვე გამახსენდა ის სახეობები, რომლებსაც ასე არ გაუმართლათ – ან სრულიად გადაშენდნენ, ან ველურ გარემოში ველარ არიან.

XX საუკუნის შუა ხანებში დიდი პანდა განწირულ სახეობად გამოცხადდა. ველარაფრით ხერხდებოდა მათი ბუნებაში დაცვა და კაცობრიობა ფაქტობრივად დაემშვიდობა ამ საოცარ ცხოველებს. და აი, სწორედ აქ იმარჯვეს ზოოპარკებმა. მათ რომ ველური ბუნების კონსერვაციის პროგრამა არ ჰქონოდათ, ეს სახეობა უბრალოდ აღარ იარსებებდა. და ეს ხატოვანი გამოთქმა არ არის – მართლა აღარ იარსებებდა! ჩინეთიდან გამოთხოვილმა ბოლო ინდივიდებმა ჯერ ჩინეთის გარეთ, ზოოპარკებში, შექმნეს სიცოცხ-

ლისუნარიანი პოპულაცია და შემდეგ უკვე ჩინეთის ზოოპარკებმაც დაიწყეს მათი გამრავლება. პარალელურად, ჩინეთის მთავრობამ თითქმის ამოძირკვა ბრაკონიერობა (რამაც ცხოველი ამ უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა) პანდას ბუნებრივ ადგილსამყოფელში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით მსოფლიო საგანმანათლებლო და აღდგენითი ღონისძიებები დაწერა. ახლა პანდებს უკვე აღარ ემუქრებათ გადაშენების საფრთხე, თუმცა დღემდე მინც ერთ-ერთ უიშვიათეს სახეობას განეკუთვნებიან. მთავარია, რომ სახეობა დიდი პანდა გადარჩა!

ყველამ იცის, რამდენი ფული და ძალისხმევა იხარჯება იშვიათი სახეობების დაცვასა და აღდგენაზე მსოფლიოს მასშტაბით. სამწუხაროდ, არსებობს სახეობები, რომლებიც სულ თითზე ჩამოსათვლელი დარჩა ბუნებრივ გარემოში და ბუნებაში მათი დაცვითი ღონისძიებები უკვე აღარაა ეფექტური. XX საუკუნის შუაში უკვე ყველამ გააცნობიერა, რომ ბევრი სახეობა განწირულია და მათ ველარაფერი გადაარჩენს. სწორედ აქ გამოჩნდა გამართული ზოოპარკების უმნიშვნელოვანესი როლი. ზოოპარკების მსოფლიო ქსელი აღმოჩნდა ერთადერთი სტრუქტურა, რომელმაც ამ სახეობების გენოფონდი შეინახა, როგორც საკუჭნაოში. სწორედ XX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება ზოოპარკების, როგორც გასართობი ცენტრების ფუნქციის მეორე პლანზე გადაწევა და წინ მოდის მათი უმთავრესი ფუნქცია – კონსერვაცია, ანუ ვალდებულება გადაარჩინონ პლანეტის უიშვიათესი სახეობები.

სხვა უამრავ იშვიათ და მნიშვნელოვან სახეობაზე, იქნება ეს თევზების, ამფიბიების, ქვეწარმავლები-სა თუ ფრინველების, არ გავამახვილებ ყურადღებას. არც ძუძუმწოვარი სახეობების ტრაგიკული ბედი შეგანწყენთ თავს. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ, რომლებიც დღეს ისეთივე საშინელ დღეში არიან, როგორშიც ოდესღაც პანდა იყო და მათი გადარჩენა პრაქტიკულად მხოლოდ ზოოპარკებს შეუძლიათ; ესენია: ამურული (მორეული აღმოსავლეთის) ლეოპარდი, სუმატრული სპილო, იაფური მარტორქა, უსურის ვეფხვი, ფართეცხვირა ლემური, სუმატრული ორანგუტანგი თუ შავი მარტორქა. სიის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ ეს ის ძუძუმწოვრებია, რომელთა ინდივიდები ბუნებაში უკვე „თითზე ჩამოსათვლელი“ დარჩნენ და, ფაქტობრივად, განწირული არიან. მათი ბედი დიდწილად ზოოპარკების ხელშია!



ბუნება

კითხვა, უნდა იარსებოს თუ არა ზოოპარკმა, ყოველთვის დაისმოდა. საზოგადოება ამ შემთხვევაში სამ ნაწილადაა გაყოფილი: ზოოპარკის არსებობის მომხრეები, მონინალმდევრები და ისინი, ვისაც ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვთ. თუმცა, საკითხი იმდენად სპეციფიკურია, რომ ძნელია გამართული მოსაზრება გქონდეს.

ბუნებრივია, არ უნდა იარსებოს სამხეცემ, რომელიც თავის თავს ზოოპარკს უწოდებს. ასეთები, სამწუხაროდ, უფრო განვითარებად ქვეყნებში გვხვდება. შევთანხმდეთ, რომ ჩვენთვის ზოოპარკი და სამხეცე, სადაც ცხოველი გაუსაძლის პირობებშია, სხვადასხვა რამაა და ახლა ჩვენ სამხეცეებს არ მიმოვიხილავთ. სამხეცეები არ უნდა არსებობდეს და მორჩა! ასევე მწამს, რომ არ უნდა იარსებოს ცირკმა, სადაც ცხოველები ჰყავთ. მათი შენახვის და წვრთნის პირობები თამამად შეიძლება დახასიათდეს, როგორც სადიზმი.

ზოოპარკს ვუწოდებ იმ დაწესებულებას, რომელსაც აქვს გამართული ინფრასტრუქტურა, რომელიც აკმაყოფილებს ცივილიზებული სამყაროს მიერ დადგენილ ძალიან კონკრეტულ წესებს: ზოოპარკს უნდა ჰქონდეს ჯანსაღი საკვების ნორმები თითოეული სახეობისთვის, ზოოპარკს უნდა ჰქონდეს საკვების მინოდების გამართული სისტემა, ზოოპარკს უნდა ჰქონდეს თითოეული სახეობისთვის და ინდივიდთა რაოდენობისთვის საჭირო სპეციფიკური ვოლიერები, რომელთა ფართობი სწორედ ამ სახეობის

სუმატრული სპილო



ამურული ლეოპარდი

ცხოველზეა მორგებული და მისი ნირის შესაბამისადაა გამდიდრებული სხვადასხვა საგნით (ანუ ახლოა ბუნებრივ პირობებთან), რომ ცხოველმა არ მოინყინოს, არ დაავადდეს და, საჭიროების შემთხვევაში, ნორმალურად გამრავლდეს.

ცნობისათვის, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ, მაგალითად, ლომს სჭირდება უზარმაზარი ვოლიერი, ხოლო მგელს, ზომით გაცილებით მცირეს – უფრო მცირე. ეს არ არის მართალი და აქ სწორედაც რომ სახეობის ცხოვრების ნირია გასათვალისწინებელი. ლომი ბუნებაში დღე-ღამის დიდ ნაწილს ძილში ატარებს და საკმაოდ „ზანტია“, როდესაც მგელი პრაქტიკულად სულ მოძრაობს. ამიტომ ლომი შედარებით მომცრო ვოლიერშიც „აკმაყოფილია“, ხოლო მგელს, პირიქით, დიდი სივრცე სჭირდება. კვებისას კი საჭიროა ყველა მტაცებელმა საკვები მოიძიოს (ნადირობის იმიტაცია). ამისთვის ზოოპარკმა უნდა უზრუნველყოს ხორცის (თუ მტაცებლებზეა საუბარი) დამალვით ან სხვა დაბრკოლებებით მიწოდება. იაგუარებსა და ლეოპარდებს, მაგალითად, ხორცს

იაპური მარტორკა





უსურიის ვეფხვი



სუმატრული ორანგუტანი

ჭერზე უკიდებენ ხოლმე. ასე ვთქვათ, საქმეს ურთულეებენ, რომ ცხოველმა „ინვალოს“, იხტუნოს, „თავს დაესხას“ ხორცის ნაჭერს და ბუნებრივი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს. მაიმუნებს საკვებს უმაღლავენ და იარაღებს აძლევენ, რომ საკვების მოპოვება მაქსიმალურად იყოს დაახლოებული ბუნებრივ პირობებთან. ძალიან მნიშვნელოვანია თამაში (ზრდასრულთათვისაც კი). ამისთვის გამოიყენება ბევრი უსაფრთხო საგანი, საბურავები და მორები – კატისებრთათვის (სათრევად და სამალავად), ერთმანეთზე „თავდასხმისთვის“, რაც ნადირობის იმიტაციაა. კატებს ასეთი თამაში ძალიან უყვართ. მაიმუნებისთვის, ცხადია, გაბმული თოკებია მნიშვნელოვანი, დათვებისთვის – კუნძები თუ აუზები და ასე შემდეგ.

და მაინც, უდავოდ არსებობს ძლიერი არგუმენტი იმისა, თუ რატომ არ უნდა იარსებოს ზოოპარკებმა. ეს მოსაზრება ჰუმანურ სანწყისებს ეფუძნება. ამ მოსაზრების მხარდამჭერი ადამიანები ფიქრობენ, რომ არაბუნებრივ, „ტყვე“ გარემოში ნებისმიერი ცხოველის ყოლა გაუმართლებელია. არგუმენტი სავსებით გასაგებია. ტყვეობა ცუდია და ამას არც ერთი ცხოველი არ იმსახურებს!

ამას ემატება ეკონომიკური არგუმენტიც – მსოფლიოში არ არსებობს სრულფასოვანი დიდი ზოოპარკი, რომელიც მომგებიანი იქნება ან თუნდაც თავის თავს შეინახავს. მაშ, რატომ უნდა ხარჯოს სახელმწიფომ თუ ქალაქმა გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან რეგულარულად ამოღებული უზარმაზარი თანხები ზოოპარკის აშენებასა და შენახვაზე? იშვიათი სახეობების შენახვა ძალიან ძვირი სიამოვნებაა. ვერც ერთი გამართული ზოოპარკი ვერ არის მომგებიანი და ტრადიციულად, ქალაქების ბიუჯეტებს აწევს. ზოოპარკი უნდა ეცადოს, რომ როგორმე დოტაციური ხარჯები შეამციროს, რადგან თუ უსამველოდ ძვირი დაჯდა, მას ბოლოს და ბოლოს დახურავენ. ამიტომ ზოოპარკში ჰყავთ ე.წ. „კომერციული ვარსკვლავები“, რომლებიც ხშირად კონსერვაციას არ საჭიროებენ, მაგრამ ისინი ხალხს იზიდავენ. რიგით დამთვალიერებელს არ აინტერესებს მხოლოდ გადაშენების პირას მყოფი სახეობები (განსაკუთრებით, „უსახური“ ქვეწარმავლები, ამფიბიები ან ფრინველები) და ეს გასათვალისწინებელია. მართალია, გადაშენების პირას მყოფი უსურის ვეფხვის ან დიდი პანდის სანახავად ვიზიტორი სიამოვნებით მოვა და

შავი მარტორქა



ფართოცხვირა ლემური



ფულს გადაიხდის, მაგრამ ეს საკმარისი არაა ჩვენი ხარბი თვალის საამებლად. ამიტომ ზოოპარკები იძულებული არიან იყოლიონ ეს „კომერციული ვარსკვლავებიც“ – ლომი, ხალებიანი აფთარი, ჰიპოპოტამი, ინდური სპილო... სამწუხაროდ, დამთვალელებსთვის ლომი უფრო მიმზიდველია, ვიდრე კავკასიური სალამანდრა ან რომელიმე იშვიათი სახეობის „შეუხედავი“ ბაყაყი.

„კომერციული ვარსკვლავების“ წყალობით შემოსული თანხები არა მარტო ამცირებს ქალაქის ხარჯს, არამედ ტრადიციულად ხმარდება სწორედ იშვიათი სახეობების გენოფონდის შენარჩუნებას“, – ერთ-ერთ ადრეულ ინტერვიუში ამბობდა თბილისის ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი აფრიკელი ლომები ისე ეხმარებოდნენ ჩვენს კავკასიურ იშვიათ ირმებს, რომ არც კი იცოდნენ ამის შესახებ.

თბილისის ზოოპარკს რაც შეეხება, ჩვენი ზოოპარკი შეძლებისდაგვარად ჩართულია მსოფლიო პროცესებში და მეტიც, ქალაქის ხარჯის შემცირებისთვის აქ 2007 წლის ბოლოსკენ ახალი „კომერციული ვარსკვლავებიც“ შემოიყვანეს. იმ დროს თბილისის ზოოპარკის წლიურ შემოსავალში ვიზიტორებისგან შემოსული თანხა 280 000 ლარს არ აღემატებოდა. 2012 წელს კი მხოლოდ ვიზიტორებისგან შემოსულმა თანხამ 820 000 ლარს მიაღწია. ცხადია, ასეთ ზრდას სწორედ „ვარსკვლავური“ სახეობები განაპირობებენ. ამან ზოოპარკს მისცა საშუალება მსოფლიოსთვის დაცული უიშვიათესი სახეობები შემოენახა: თეთრი მარტორქა (საბედნიეროდ, გა-

დაურჩა 2015 წლის სტიქიას – წყალდიდობას), ინდური სპილო (გადაურჩა სტიქიას), აფთარისებრი ძაღლები (სამწუხაროდ, დაიღუპნენ სტიქიის დროს), წინააზიური ლეოპარდები (გადაურჩნენ სტიქიას), აფრიკული პინგვინები (ნანილი დაიღუპა) და აბისინიური რქაცხვირა (დაიღუპა სტიქიის დროს).

შეიძლება ზოგს მოეჩვენოს, რომ თბილისის ზოოპარკი ყველა ზემოჩამოთვლილს არ აკეთებდა. ცხადია, ხარვეზები ყველგანაა, მაგრამ არსებული შეუფერებელი სივრცისა და დღევანდელი მსოფლიოს მიუღებელი წინა საუკუნის 20-იანი წლების სივრცული დაგეგმარების ფარგლებში, ზოოპარკი მაინც მაქსიმალურს აღწევდა სამივე მიმართულებით. ალბათ ისიც გსმენიათ, რომ დიდი ხანია თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაცია ახალი ტერიტორიისთვის იბრძვის. წლების განმავლობაში კამათი უსასრულო წრეზე მიდი-



სავარის პარკი სან-დიეგოს ზოოპარკში



პინგვინები ედინბურგის ზოოპარკში



პოლარული დათვი ვენის ზოოპარკში

ოდა – მოთხოვნა: „ახალი ტერიტორია გვჭირდება!“ პასუხი: „ორშაბათს გამოიარეთ“. ბოლოს და ბოლოს ახალი ტერიტორია გამოიყო და ნელ-ნელა, თუ თბილისის ზოოპარკს მხარდაჭერა ექნება, შეძლებს სრულფასოვნად შეასრულოს თავისი კონსერვაციული ფუნქცია.

ზოოპარკების ერთ-ერთი ძირითადი მისია ახალი თაობის განათლებაცაა. ბავშვში მოქალაქე უნდა გაიზარდოს, მოქალაქე, რომელიც ზრდასრულ ასაკში არც ბრაკონიერობას დაიწყებს და არც ბუნებას გაანადგურებს. ამასთან, განათლება ზრდასრულებსაც სჭირდებათ. ამ თვალსაზრისით, ზოოპარკები ე.წ. პრობლემური სახეობების (მგელი, აფთარი, ყველა მტაცებელი...) „იმიჯზეც“ ზრუნავენ. რთულია, როდესაც ადამიანს ელაპარაკები რაღაც აბსტრაქტულ არსებაზე, რომელიც თვალთ არ უნახავს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ არსებას აჩვენებ.

„როდესაც დამთვალე რეზილიენსი ნახულობდნენ აფთარს, არც კი იჯერებენ, რომ ეს ნამდვილად აფთარია („ის არც ისე საშინელი ყოფილა, თბილიცაა და საოცრად მოსიყვარულე ცხოველია“.) და ადამიანის დამოკიდებულება იცვლება“, – ამბობს ზურაბ გურიელიძე.

მთავარ კითხვაზე – უნდა იარსებოს თუ არა ზოოპარკებმა? – პასუხი ისევ საზოგადოებამ უნდა გასცეს, ხალხმა, რომელიც ფულს იხდის. ჩვენ ვირჩევთ მთავრობებს და ამით რწმუნებას ვაძლევთ ჩვენი სახელით განკარგონ ჩვენი ფული. თუ ჩვენი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ზოოპარკი არ უნდა არსებობდეს, მთავრობა ზოოპარკს გააუქმებს. ხოლო თუ უმრავლესობას უნდა და მის მნიშვნელობას ხედავს, მთავრობა ეცდება ჩვენი მოთხოვნა (ისევე, როგორც სხვა მოთხოვნები) დააკმაყოფილოს. ბოლოს და ბოლოს, ყველა მთავრობას უნდა, რომ ხელმეორედ ავირჩიოთ.

მე კი სულ ის ბედნიერი პატარა გორილა მახსენდება უგანდაში. ალბათ, უკვე „დიდ და კარგ გოგოდ“ გაზარდეს დედამ, მამამ და ჯგუფის ძიძებმა. ალბათ, არც ჯუნგლების გაკაფვამ და არც ბრაკონიერის დაგებულმა ხაფანგმა არ იმსხვერპლა მისი მშობლები და არ გახდა საჭირო მისი ზოოპარკში გადაყვანა. თუნდაც იმ ზოოპარკში, სადაც უდრტვინველად, მაგრამ მაინც გისოსებს მიღმა იცხოვრებდა. იმედი მაქვს, რომ უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობს და ახლომახლო გამველელი „მზეჭაბუკი“ გორილები თვალსაც უპაჭუნებენ, რომ ველური ბუნების შენარჩუნებაში თავისი დელობით უზარმაზარი წვლილი შეიტანოს.

თბილისის ზოოპარკის ბინადრები 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შემდეგ

